სამშაბათს, 18 დეკემბ. 1907 წ.

# ისარი

წელიწადი პირველი №—279

გაზეთი «ისარი» ერთის წლით ღირს ტფილისში 7 მან., ნახევარი წლით—4 მან., ერთის თვით ტფილისში—75 კაპ. ტფილისს გარედ—80 კაპ. გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვებში.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 5 საათამდე ღირს 3 მან., ხუთი საათის შემდეგ—მეტი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «ისრის» რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია დიდხანს არ ინახავს, ინახავს ერთი თვით—მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისათვის საჭიროა მარკები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე.

ადრესის გამოცვლა ტფილისიდან ტფილისს გარედ ღირს 1 მან., ხოლო სხვაგან—40 კაპ.

ცალკე ნომერი ყველგან 5 კაპ.

რედაქციისა და კანტორის ადრესი: ტფილისი, ელისაბედის ქუჩა, № 1.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція «ИСАРИ»

## ყოველ დღიური გაზეთი

# „ისარი“

## მიიღება ხელის-მოწერა 1908 წლისათვის.

გაზეთის ფასი: წლით როგორც ქალაქში, ისე ქალაქს გარედ—7 მანეთი.

ნახევარი წლით „ „ „ —4 მანეთი.

ერთი თვით „ „ „ —90 კაპ.

---

**ქართული წარმოდგენა არტისტიულ საზ. თეატრში**

პარასკევს, 21 დეკემბერს 1907 წ. ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება **ორი ახალი პიესა.**

**ბენეფისი ვ. ა. აბაშიძისა**

| I | II |
|---|---|
| **ხელთათმანი** | **მუქთახორა** |
| პიესა 3 მოქ. თხზ. ბიერნსტერნ-ბიერნსტენისა. თარგ. გ. ანანიაშვილისა. | სცენები 1 მოქმედ. ვ. ა. |

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ბ. ნებიერიძისა ვ. ჩერქეზიშვილისა, ო. ლეჟავა; ბ-ნნი ზ. ბერიშვილი, ვ. გამყრელიძე, გ. ზედგენიძე, ვ. გუნია, ა. იმედაშვილი, ი. ივანიძე, ვ. მატარაძე, ი. ქივიძე, კ. ყიფიანი, კ. შათირიშვილი, დ. ჩარკვიანი და სხვანი.

დასასრულ **დივერტისმენტი**

მონაწილეობას მიიღებენ: ტ. აბაშიძე, ამალიონი (ყიფიანი), ტომაშევიჩი და იმედაშვილი.

ადგილების ფასი საბენეფისოა. დასაწყისი სწორედ საღამოს 8 საათზე.

ბილეთები ამ თავითვე იყიდება კასსაში.

მორიგე წევრი გამგეობისა **პ. გოთუა.** რეჟისორი **ვ. გუნია.**

---

**ტფილისის სახაზინო თეატრი. ოპერის არტისტთა ამხანაგობა.**

სამშაბთს, 18 დეკემბერს, უკანასკნელი გასტროლი **ოლიმ. ბორონატისა.**

ვინ. კობბოლას მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

**„ლ ი უ ჩ ი ა“**

ოპერა 3 მოქმედ. მუსიკა დონიცეტტისა.

ოპერის შემდეგ ცეკვა ბალეტ „შჩელკუნჩიკ“ იდან ჩაიკოვსკისა

მონაწ. იღებენ: ქ-ნი ოლ. ბორონატი, გორინა; ბ-ნნი გრინევი, ვინ. კობბოლა, უხოვი, იუჩენკოვი.

კაპელმეისტერი: **გოლიანკინი.** ფასები ჩვეულებრივია. დასაწყისი 8 საათზე.

**ანონსი:** 19 დეკ. პირველი სიმფონიური კრება საიმპ. სამუს. საზოგადოების ტფილ. განყოფილებისა, (0—22)

---

დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდად წიგნი

## სახალხო კალენდარი 1908 წლის

შედგენილი და გამოცემული მ. გაჩეჩილაძის მიერ.

კალენდარი შეიცავს 272 გვერდს, საშუალო ზომისას; მოთავსებულია შიგ 25 სხვა და სხვა ნახატი და სურათი. თვეთა რიცხვი და უქმეები, ფოსტა-ტელეგრაფი, სამეურნეო და იურიდიული ცნობები, სამზარეულო, სხვა და სხვა საინტერესო ციფრი და გამოკვლევა, სახუმარო გასართობი და სხვა.

**კალენდარი ყველგან ეღირება 20 კაპეიკი.** ამას გარდა კალენდრის **მყიდველებს მიეცემათ 200 მანეთის საჩუქარი.** ეს საჩუქარი განაწილებულია შემდეგნაირად: 219 მყიდველს კალენდრისას შეხვდება:

| | | | |
|---|---|---|---|
| 50 | მყიდველს | თხზულებანი თ. მაგძაძისა კალმის მონასმი—თითო | 25 კაპ. |
| 50 | ,, ,, | ნოე ჟ—ნია, ანარქიზმი . . . . . | 30 კაპ. |
| 50 | ,, ,, | წერილები საქართველოს შესახებ ისარლოვისა . | 80 კაპ. |
| 5 | ,, ,, | მთელის წლით გაზეთი «ისარი» | |
| 5 | ,, ,, | მთელის წლით სასუმარო ჟურნალი ,,ნიშადური'' | |
| 5 | ,, ,, | მთელის წლით გაზეთი ,,წყარო'' | |
| 1 | ,, ,, | შოთა რუსთაველის დიდი სურათებიანი ვეფხვის ტყაოსანი | |
| 3 | ,, ,, | მთელის წლით ,,ეშმაკის მათრახი'' | |
| 50 | ,, ,, | როგორ ცხოვრობდნენ ადამიანები ძველად. კალრიავსკისა—20 კ. | |

კალენდრის მყიდველებს საჩუქარი შეხვდებათ შემდეგნაირად: 170 კალენდარში ჩადებული იქნება სადარბაზო ბარათი და თვითეულ ბარათზედ აღნიშნული იქნება საჩუქრის რაოდენობა; კალენდარს ოთხივ კუთხივ ექნება შემოკრული ბანდეროლი; ეს ბანდეროლი ბეჭედ დაკრული იქნება, ასე რომ მყიდველი სანამ ბანდეროლს არ გახსნის და კალენდარს არ გადაშლის, მანამ ვერ გაიგებს—ერგო თუ არა საჩუქარი. ბანდეროლ გახსნილი კალენდარი გაყიდულად ჩაითვლება და იმისი უკან მიღება აღარ შეიძლება. თუ რომელსამე მყიდველს საჩუქარი შეხვდა, შეუძლიან ეს საჩუქარი მიიღოს პროვინციებში ჩვენ აგენტებთან იანვრის 15 რიცხვიდან 1908 წლის დამლევამდე: გორში—არჩუაძესთან, მიხაილოვში—აფ. ებანოიძესთან, ყვირილაში—„სორაპნის“ მაღაზიაში, ქუთაისში—„იმერეთის“ წიგნის მაღაზიაში, სამტრედიასა და ფოთში—ძმ. კოხრეიძეებთან, ოზურგეთში—ლოლონტიან, ლანჩხუთში—შ. ცინცაძესთან, ბათუმში—ფარცხალაშვილთან, სოხუმში—ნგალაძესთან; ტფილისში კი ქართველთა ამხანაგობის კიოსკში მ. ცაგარელთან. კალენდრები კი იყიდება ს. მერკვილაძესთან, „წერა-კითხვის“ საზოგადოებაში, სპ. ქელიძესთან—ვერაზედ და სხვაგან. (10—6.—1)

---

## კახური ღვინო

პირველ ოქტომბრიდან ახლად გაიხსნა **კახური ღვინის სარდაფი** კახელ მევენახეთა

### თავ. ჯანდიერისა და არღუთინსკი-მხარგძელისა,

სადაც ღვინის მომხმარებელთ ზომიერ ფასად შეუძლიანთ მიიღონ ნამდვილი კახური საუკეთესო ღვინო, ნამდვილი ყურძნის ნაწური. დარწმუნებულნი ვართ, რომ მომხმარებელნი კმაყოფილნი დარჩნენ.

სარდაფი მდებარეობს ქალაქ ტფილისში, ველიამინოვის ქუჩაზედ, აირუმოვის სახლში, **№ 7 „ვეშის-ციხე“.**

უმორჩილესად ვთხოვთ ღვინის მომხმარებელთ, ყურადღება მიაქციონ ეტიკეტს. (21—343—20)

---

მეჩექმეთა ამხანაგობა

## „ნდობამ“

იქონია მსჯელობა მომავალ დღესასწაულებისათვის თითქმის მასალის ფასად გაჰყიდოს დამზადებული ფეხ-საცმელი შევროსი, ხრომისა და შავი საქონელი: ჩექმები, „პოლუსაპოჟკები“ ქალისა და კაცისა. ეს სიიაფე გამოიწვია მაღაზიის სივიწროვემ. ვიწვევთ პატივცემულ საზოგადოებას, ისარგებლოს პირველი ის შემთხვევით. კვირა-უქმე დღეებში ღია გვექნება მთელი დღე. კიროჩნის ქუჩა, № 11, აფიცერთა საეკონომიო საზოგადოების ცოტა ქვემოდ. აგრეთვე ვთხოვთ ყველას, ვისაც კი რა წაუღია ნისიად, დაუბრუნოს ათასნაირ ნაწამებ ამხანაგობას. წინააღმდეგ შემთხვევაში გაზეთით გავაცხადებთ ყველას სახელსა და გვარს.

(3—1) გამგე ამხანაგობისა **ზ. შერმანაშვილი.**

---

**ქუთაისში**

კბილის ექიმი ქალი

**ე. დ. ნასარიძე**

იღებს ავათმყოფებს ექიმ ნასარიძის ბინაზე. (346)

---

**სამკურნალო**

**სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ვანქის დიდი ქუჩა, № 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად.

ტელეფონი № 481.

**ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 საათამდე.**

**რუდენკო**—შინაგანი სნეულ. კვირა 3—4 ს.

**რიდელი**—კანისა, ვენ., სიფილ. ყოველ დღე 1½—3 საათ.

**[illegible]**—ყურისა, ყელ. და ცხვირ. ყოველ დღე 4—5 საათამდე.

**[illegible]**—ბავშ. შინ. ყოველ დღე 1—12 ს.

**[illegible]**—ქირურგ. ყოველ დღე 4—5 ს.

**[illegible]**—ყურისა, ყელ., ცხვ. ყოველ დღე 12½—1½ ს. სამშაბ. და პარასკ. გარდა.

**[illegible]**—ქალ. ავად., ორშაბ., ოთხშ. პარასკ. კვირა 1—2 ს.

**[illegible]**—შინაგ. ჰიპნოზი ყოველ დღე 4—5 ს.

**[illegible]**—შინაგ. ყოველ დღე 11½—1½ საათ.

**[illegible]**—ქალთა ავად. ყოველდღე 4—5 ს.

**ჩუდნოვსკი**—ნერვ., სულით, ელექტრ. ყოველ დღე 4—5 ს.

**ვნუკოვი**—ქირურგ. ყოველ დღე 2—3 ს.

**ნოვიცკი**—ქალ., ბავშ. ყოველ 1—2 ს.

**[illegible]**—კბილისა, ყოველ დღე 10—12 და 3—5 ს.

**[illegible]**—მასსაჟი. ყოველ დ. 12—4 ს.

**[illegible]** —, **ჩუდნოვსკი** — კლინიკური ანალიზი.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთ გასინჯვა შეთანხმებით. (100—6.—73)

---

ექიმი

**გ. ნ. მაგაქიანი**

იღებს ავადმყოფებს **შინაგან და ბავშვების** სპეციალური ექიმია **ყურის და ნაწლევების.** მიღება: დილით 12—1 ს., საღამოთი 5—7 ს. მიხეილის პროს. № 36, სახ. ქავქანიძისა (25—წლ.)

---

**ქუთაისში**

კბილის ექიმი

**ს. ი. კერესელიძე**

გადავიდა **გეგუთის ქუჩაზე** პ. რუხაძის სახლში, (25—ფ.—15)

---

**ელექტრონის და რენტგენის**

**სამკურნალო კაბინეთი**

მიხეილ გედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს დილის 12—1, საღამოს 6—7 საათ. ყორღანოვის ქ., ვერაზე; საკ. სახლი № 20 ტელ. 791. (0—487—7)

---

ექიმი

**ვ. ს. მუსხელიშვილი**

იღებს თვალებით ავად-მყოფებს ყოველ დღე დილის 9—11½. კიროჩნი ქუჩა № 9. (თვ.)

---

კბილის ექიმი

**ნინო რცხილაძე**

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი, —7 საათზე. ვერა ოლგას ქუჩა, № 25- (0—249)

---

ექიმი

**ე. მ ა შ ა ძ ი ძ ე**

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 1—2 ს., საღამოობით 5—6 საათ., გარდა კვირა დღეებისა, კიროჩნის და ელისაბედის ქუჩების კუთხეზე, ბარამოვის სახლი, № 92. (წ.უ—00)

---

**ქ. ქუთაისში**

**ექიმი ჯაფარიძე**

იღებს ყურით, ყელით, ცხვირით და შინაგანის სნეულებით ავადმყოფებს. ტფილისის ქუჩა, სახლი თ. ნიჟარაძისა. (50—6.—37)

---

თვალის ექიმი

**ზ. მ. ცხვედაძე**

დორპატის უნივერსიტეტის კლინიკაში ასისტენტად ნამყოფი, იღებს თვალით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—1 ს. და საღამოს 6—7 ს. ვერა ოლღას ქუჩა, № 31, სახლი სარაჯიშვილისა. (25—475—13)

---

**ქ. თ ე ლ ა ვ შ ი**

ექიმი

**ნ. გ. მრევლოვი,**

მასწავლებლად ნამყოფი კიევის ქალაქის საბებიო სასწავლებელში და ინტერნად მშობიარეთა სახლში, მიიღებს ავადმყოფთ ყოველ დღე 9—12 საათამდის, ადრესი: ზ. მაჭავარიანის სახლი (ბატონის წყაროზე). (50—413—30)

---

კბილის ექიმი

**ალ. სოლოლაშვილი**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და 5—7-მდე. გოლოვინის პროსპ. № 12, სახლი მდივნისა. (64)

---

**ყურის, ცხვირის და ყელის ექიმი**

**ნ. ა. ატენიანცი**

იღებს ყოველდღე ავადმყოფებს- შუადღის 12—2 ს., საღამოთი 5—7 საათამდე, მიხაილოვის ქუჩა № 114 „ვეტცელის“ სასტუმროს პირდაპირ. (50—385—44)

---

## დურგალთა პროფესიონალური ბიურო

**გ ა ი ხ ს ნ ა**

გუბერნატორის მიერ ნება დართული, ბიურო იღებს სადურგლო საქმეებს ხელმისაცემ ფასებში ნარდად, ნაჭრობით, და დღიურად. დღიურ მუშის ფასი გაყოფილია ოთხ კატეგორიად. ბიურო უდგება თავდებად ყველა თავის წევრს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამუშაო მიღებულია ბიუროს შუამდგომლობით.

ბიუროს ადრესი: მესამე საპოლიციო ნაწილი, რუსისა და ვანქის ქუჩების კუთხე, სახლი სომხურ სემინარიისა ზემო სართული. ბიურო ღიაა მუდამ დღე დილის 7 საათიდან შუადღის 3 საათამდე. (0—382—16)

---

### მოსკოვის საფაბრიკო მაღაზია

მამაკაცების, დედა-კაცების და ბავშვების დამზადებულ ტანისამოსისა

# „ექსელსიორ“

გოლოვინის პროსპ., მანთაშოვის სახ. საზოგ. საკრებულოს ქვემოდ

## აცხადებს,

რომ, „ექსელსიორის“ ამხ—ბის გამგეობისაგან მიღებულ განკარგულებით, ყველა საქონლის ფასები

## დაკლებულია

მომავალ დღესასწაულებისთვის მიღებულ იქნა დიდ-ძალი პიჯაკები, ვიზიტკები, სერთუკები და ფრაკები, შარვლები, ჟილეტები „ფანტაზია“, ქალებისა და ვაჟების გაუცვეთელი წამოსასხამები, პალტოები საზამთრო კარაკულის ტყავის საყელოთი, ფორმები ყველა სასწავლებლის ტანისამოსისა; რუსეთის და საზღვარ-გარეთის მატერიებისა; აგრეთვე ქალების ტანისამოსი უკანასკნელ მოდებისა. დიდ-ძალი პლიუშის ჟაკეტები.

### ფასები საქარხნო და შეუვაჭრებლად

„ექსელსიორის“ ამ—ბამ კრივოიროგის გამოფენაზე მიიღო

## ოქროს მედალი

(10—493—8)

---

## ქუთაისში

**სკარლატინისაგან თავის დასაცველი (предохранительная) საშუალება**

ექიმი ივ. ბოკერია უცრის ჯანმრთელ ბავშვებს სკარლატინ (ქისერის) ვაქცინას დილის 10—12 საათამდე. ღარიბებს უფასოდ ქალაქის სამკურნალოში. (3—კვ.—1)

---

რადგან ამ ბოლო დროს გახშირდა გადმოსახლება შორაპნისა და გორის მაზრებიდან საერთო ვაჩნაძეებისა და აბხაზიანთ მამულში, რომელიც მდებარეობს სიღნაღის მაზრაში ალაზან გაღმა, ამით გამგეობა ზემოხსენებულ მემამულეთა ამხანაგობისა აცხადებს საყოველთაოდ, რომ საზოგადო კრების დადგენილებით, დასახლება ალაზან გაღმა მამულებში აკრძალულია. (2—512—2)

---

## ტფილისის „სობრანიე“

ტფილისის „სობრანიეს“ მამასახლისთა საბჭო აუწყებს ბ-ნთ წევრებსა და კანდიდატებს, რომ 20 დეკემბერს 1907 წ. დანიშნულია საზოგადო კრება, რომელმაც უნდა განიხილოს წარსულ კრებაზე დარჩენილი საკითხები, გარდა საკითხის შესახებ სომეხთა განსვენებულ კათალიკოსის სახელზე სტიპენდიის დაარსებისა. ამავე კრებაზე კენჭს უყრიან კლუბის ახალ კანდიდატებს. (3—510—2)

---

ტფილისი, 18 დეკემბერი.

ჩვენის გაზეთის მკითხველთ ახსოვთ, რომ ეს რამდენიმე ხანია ჩვენ გულ-მოდგინეთ ვიწვევდით საკულტურო ასპარეზზე მუშაობისათვის ყველა ჩვენებურ საზოგადოებრივ ძალებს. თითქმის ყოველდღე ვწერდით, რომ საჭიროა გაფართოვდეს და გაცხოველდეს ჩვენებურ საკულტურო დაწესებულებათა მოღვაწეობა, რისთვისაც აუცილებელია მტკიცედ გარკვეულის პროგრამის შექმნა და ამ პროგრამის განხორციელება ყველა ცო-

ცხალ ელემენტების შეთანხმებულისა და შეერთებულის ძალით. თავისთავად ცხადია, ჩვენ შორს ვიყავით იმ აზრისაგან, რომ ჩვენს საკულტურო დაწესებულებებში გადაგვეტანა პარტიული ბრძოლა; პირიქით, ჩვენ იმას ვქადაგებდით, რომ ეს დაწესებულებანი უპარტიონი უნდა იყვნენ და უნდა ემსახურებოდნენ იმ მტკიცედ აღნიშნულს საკულტურო საგანს, რომელიც დაახლოვებით ერთნაირად უნდა ესმოდეს ყველა პროგრესიულს მიმართულებასა და ჯგუფებს... ჩვენდა სასიამოვნოდ, ეს მოწვევა და ქადაგება არ დარჩა „ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა“ და ბოლოს ხანს შესდგა ჯგუფი, რომელმაც ითავა „წ.-კ. გამავრ. საზოგადოების“ წლიურ კრებისა და არჩევნების ხელმძღვანელობა. ჯგუფი პარტიებს გარეშე იდგა, ე. ი., მის კრებასა და მუშაობაში მეტად თუ ნაკლებ მონაწილეობა მიიღეს ყველა პროგრესიულ მიმართულების პირებმა, რომელთაც გაითვალისწინეს სამოღვაწეო პროგრამის ხელმძღვანელი პრინციპები და ამის მიხედვით დაასახელეს კიდეც კანდიდატები, რომელთათვის უნდა ჩაებარებინათ წ.-კ. საზოგადოების მართვა-გამგეობის საქმე*)

ასე მიდიოდა საქმე 16 დეკემბრამდე, მაგრამ ამ დღეს მომხდარ საზოგადო კრებაზე ჯერ უნახავი სკანდალი დატრიალდა. წ.-კ. გ. საზოგადოების კრება გადაიქცა პარტიულ ბრძოლის ასპარეზად, სადაც ვნებათა ღელვას საზღვარი არ ჰქონდა. ამ სკანდალის ავტორნი ბრძანდებოდნენ ჩვენი ს.-დ. „ინტელიგენტი-ბელადნი“, რომელთაც საკულტურო დაწესებულების საზოგადო კრებაზე გამოიტანეს და გამოფინეს მთელი თავისი ფანატიკური დემაგოგია, ყველა თავის შეუწყნარებელი და უმზგავსო ბრძოლის საშუალებანი. მთელი დღის განმავლობაში საზოგადო კრებაზე იყო დაუსრულებელი განგაში, საშინელი ჟრიამული; „ინტელიგენტ-ბელადებმა“ დაივიწყეს პატივისცემა საზოგადოებისადმი, თავმჯდომარისადმი, თვით იმ დაწესებულებისადმი, რომლის გულისთვის მოსულიყვნენ. თავიდანვე ცხადი შეიქმნა, რომ ისინი მოსულან მტკიცედ განსაზღვრულის მიზნით: დაემორჩილებინათ კრება, „გამოეცხადებინათ თავისი დიქტატურა“ და ხელში ჩაეგდოთ „საზოგადოების“ მართვა გამგეობის საქმე. „ვინც ჩვენ არ დაგვემორჩილება, ის ჩვენი მტერი ყოფილა“-ო,—ეს ხელ მძღვანელი დევიზი მათის პოლიტიკურის ბრძოლისა შეიტანეს საკულტურო დაწესებულებაშიაც და რა-კი დაატყვეს, რომ საზოგადო კრების უმრავლესობა მათ მხარეზე არაა და არ ჰსურს დაემორჩილოს მათ ბრძანებლობას, მიჰმართეს ობსტრუქციას, სკანდალს და ამ საშუალებით მიაღწიეს თავის სამარცხვინო საწადელს: ჩაშალეს კრება, შეუძლებლად გახადეს საზოგადოების მუშაობა იმ დიდ საქმისთვის, რომლისთვის შეგროვილიყო იმდენი ხალხი.

ასე სამწუხარო იყო ჩვენი ს.-დ. გამოსვლა საკულტურო ასპარეზზე. ბუნებრივად დაებადება ყველას კითხვა: რის გულისთვის, რა მისწრაფებისთვის, რა განსხვავებულის საგნისთვის გამართეს ეს ფანატიკური ბრძოლა ჩვენმა ს.-დემოკრატებმა? მაგრამ, სამწუხაროდ, ამაოდ დაუწყებთ ძებნას იდეიურ სარჩულს, რადგან იდეიური ბრძოლა აქ არაფერს შუაში არ ყოფილა. პირველად ყოვლისა აღსანიშნავია, რომ მათი პრესსა სრულიად სდუმდა „წ.-კ. გ. საზოგადოების“ საქმეზე: ჩვენს საზოგადოებას არა გაუგონია-რა, ამ ახლო ხანში მაინც, რა სახელმძღვანელო პრინციპების მიხედვით სჯიან და აფასებენ სოც.-დემოკრ. ჩვენის საკულტურო დაწესებულების მოქმედებას და რა მახლობელი პროგრამა აქვთ მის მომავალ მოღვაწეობისათვის. მათი პრესსა ამ კითხვებით დაინტერესებული არ იყო და ჩვენი ს.-დ. განზე იდგნენ ამ საქმეში. მათმა წარმომადგენლებმა ხმა ამოიღეს მხოლოდ საზოგადო კრებაზე—პირველად 9 დეკემბერს და მეორედ კვირას, 16 დეკემბერს. მაგრამ არავითარი ახალი აზრი, არავითარი ახალი პროგრამა ჩვენ არ გვსმენია. 9 დეკემბერს ერთ-ერთ „ინტელიგენტ-ბელადმა“ ვითომ სცადა ახალის გზის ჩვენება, მაგრამ იმდენად უხერხულად, რომ ბოლოს იძულებული გახდა, სხვის სიტყვებს ამოჰფარებოდა; მეორე კრებაზედაც „საზოგადოების“ რეორგანიზაციაზე ყოლ-პარაკი, ს.-დ. წარმომადგენელნი უერთდებოდნენ და იმეორებდნენ იმ პროგრამას, რომელიც ზემოხსენებულ ჯგუფის წარმომადგენლების მიერ იქმნა გარკვეული და გამოცხადებული. ახალი რამ, ახალი სახელმძღვანელო იდეა, ვიმეორებთ, ამ ბელადთ არ წარმოუდგენიათ და რათ დაჭირდათ ისეთი გამწარებული ბრძოლა იმ დღის კრების უმრავლესობასთან, რომელმაც ფართო სამოღვაწეო გეგმა დაუხატა საზოგადოების მომავალ გამგეთ—სრულიად გაუგებარია?! განყენებულ, განმარტოებულ და სხვებთან შეურიგებელ ბრძოლას,—ბრძოლას გაშმაგებულს, თავდავიწყებამდე გაბოროტებას, სხვების შეურაცხყოფას, წესრიგისა და სხვის პიროვნების გათელვას კიდევ როგორც იქნება აპატიებ იმათ, ვისაც ახალი რამ იდეა ასულდგმულებს, ვისაც ახალი რამ მოაქვს საზოგადო საეროვნო საქმისათვის; მაგრამ რით, თუ არ გაკიცხვითა და დაგმობით, უნდა მიეგებო იმათ გამოსვლას, ვინც სკანდალის მეტი ვერაფერი უძღვნა ჩვენს დაწესებულებას, ჩვენს ერთად-ერთ საკულტურო საზოგადოებას.

ჩვენ გვინდა მივმართოთ მათ კეთილგონიერებას და გავახსენოთ, რომ სახიფათოა დღევანდელს პირობებში პარტიულ დროშის აღმართვა წ.-კ. საზოგადოებაში, რომ კიდევ ერთი-ორი ამისთანა სკანდალი და „საზოგადოება“ განსაცდელში ჩავარდება; მაგრამ, განა იმათ რასმეს შევასმენთ? განა იმათ გულსა და გონებას რასმეს ეტყვის ჩვენი წ.-კ. საზოგადოების დაღუპვა? ვეჭვობთ და ამიტომ მივმართავთ იმ ქართველ საზოგადოებასა და ხალხს, რომელიც დაინტერესებულია ჩვენის ეროვნულის საქმით, კვლავ აღიჭურვონ მოთმინებით და შეერთებულის ძალით დაუხვდნენ იმ გაბოროტებულ ჯგუფს, რომელსაც თავის პარტიულ ინტერესების გარეშე არა ახსოვს-რა და რომელიც მზადაა ყოველაფერი ანაცვალოს თავის „დიქტატურის“ განხორციელების საქმეს.

*) ჯგუფის განზრახვა იყო, შეეერთებინა ერთის საკანდიდატო სიით საზოგადოების მომქმედი ძალები, და ამიტომ იმისი წარმომადგენლები, რამდენადაც შეეძლოთ, ესწრებოდნენ მთელ კვირის განმავლობაში ყველა კერძო კრებებს მომავალ არჩევნების შესახებ. ერთ-ერთს ასეთს კრებაზე ჯგუფის წარმომადგენლები შეჰხვდნენ რამდენსამე სოციალ-დემოკრატსაც, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს ჯგუფის სახელით წარდგენილ სიის გადაშინჯვასა და შესწორებაში.

# ახალი ამბავი

—:—

✦ **ყუმბარების სროლა.** გუშინ 4 საათზე ნერსესიანების მოედანთან, მელიქოვის ქუჩის კუთხეში, ბერიევის ღვინის სარდაფის თავზე, ყავა-ხანაში ყუმბარა გადააგდეს. როგორც ამბობენ, ყუმბარა უსვრიათ ვიღაც ცალ-კლავა პიორიმკინსათვის. ჯერ ქუჩაში უსვრიათ ყუმბარა მისთვის, მაგრამ არ გამსკდარა და როდესაც ის ბერიევის სარდაფის თავზე ყავა-ხანაში შევარდნილა, ყუმბარის მსროლელნიც შიგნით შეჰყოლიან და იქაც უსვრიათ. ყუმბარა საშინელის სიძლიერით გამსკდარა, ბევრი დაუშავებია. მსროლელნი გაქცეულან; მათ პოლიციელნი დასდევნებიან და ერთი იქვე დაუჭერიათ, მეორე იქვე ახლოს ფეხის ალაგში მოუკლავთ. მესამე თუმანოვის ქუჩაზე დაუჭერიათ და დაუჭერიათ კიდეც დაწვრილებით ხვალ.

✦ **ექიმის დაჭრა.** 16 დეკემბერს საღამოთი ქუთაისში ექიმ ბაქრაძეს, როდესაც იგი თეატრის მახლობლად ეტლით მიდიოდა, ვიღაცები თავს დასცემიან, რევოლვერები დაუშენიათ და მძიმედ დაუჭრიათ. შეუპყრიათ ერთი კაცი.

✦ **გაჩხრეკა და დაპატიმრება.** ნაძალადევში 16 დეკემბერს გაუჩხრეკიათ და დაუპატიმრებიათ რამდენიმე კაცი. ჯერ არა გვაქვს ცნობები იმის შესახებ, თუ რამდენია დაპატიმრებული.

✦ **კარგი მაგალითი.** სომხური გაზეთი „ვტაკი“ (№ 21) სწერს: „ბაქოში მცხოვრებ სომეხ სოფლელთა, მუშათა და ნოქართა შორის დაბადებულა მშვენიერი აზრი. მათ გადასწყვიტეს ყურადღება მიაქციონ თავიანთ სამშობლო ქვეყანას. ამ აზრით ადგენენ წრეებს. ყოველი წრე ფიქრობს, უშველოს თავის სოფელს. ჯერ ჯერობით მეცადინეობენ სოფლებში სკოლების დასაარსებლად: ყოველი წევრი იხდის ჯამაგირის 1 ან 2 პროცენტს. ასე იქცევა ყველა, ვისაც თვეში შემოსავალი აქვს 50 მანეთიდან 150 მანათამდე. სკოლებს ჰხსნიან, იხდიან მასწავლებლის ხარჯს, ღარიბ ბავშვთათვის იძენენ სასწავლო ნივთებს, სწავლა უფასოა და საერთო ქალებისა და ვაჟებისთვის. ამისთანა ჯგუფების წყალობით, ენკენისთვიდან გახსნილა 6 სოფლის სკოლა; იანვრიდან კიდევ ახლები გაიღება, ჯერ ერთ კლასიანი, შემდეგ ორ კლასიანად გადააქცევენ. უნდა სცადონ აგრეთვე სამეურნეო სკოლების დაარსება. ძლიერ სასიხარულო და წამქეზებელი მოვლენაა ეს. ერთი ორი მდიდარი ჯგუფიც აპირობს დაარსოს თავის სოფლებში სასოფლო საავადმყოფოები თავიანთ ექიმებით და ფერშლებით. პირველად, საცდელად, ახლო მომავალში საავადმყოფო დაარსდება მუშის მაზრაში.

✦ **ლექცია.** ხუთშაბათს, 20 დეკემბერს, მეორე გიმნაზიის სადგომში (ველიკოკნიაჟევსკის ქუჩა), საღამოს 6 საათზე, ილია ნაკაშიძე წაიკითხავს რუსულ ენაზე ლექციას შემდეგ საგანზე: „ამერიკელი მწერალი ჰენრი ჯორჯი მიწის საკითხის შესახებ“.

✦ **გაზეთის შეჩერება.** გაზეთ „ცისნამი“-ს გამოსვლა, სხვა და სხვა მიზეზისა გამო, დროებით შეჩერდა.

✦ **განთავისუფლება.** ამ ხუთი თვის წინად „კახეთის“ საზოგადოების ბოიკოტის საქმეზე დატუსაღებული ამ საზოგადოების მუშა მათე გორგილაძე 16 ამ თვეს განთავისუფლეს საგუბერნიო ციხიდან.

✦ **მატარებლის მიერ გასრესა.** 15 დეკემბერს რკინის გზის ლიანდაგზე მატარებელმა გასრისა 62 წლის მოხუცი სიმონ კოჩიშვილი.

✦ 15 დეკემბერს დამის 11 საათზე გოგოლის ქუჩაზე სახლი გაუტეხავთ დიმიტრი ბაქრაძეს, რომელსაც მოჰპარვიათ 300 მან. ნივთები და 730 მან. ფული წაუღიათ.

✦ ...ქუჩაზე მცხოვრებმა მომრიგებელმა მოსამართლემ გ. ა. ყარანგოზიშვილმა პოლიციას გამოუცხადა, რომ იმის სახლიდან 137 მან. ნივთები მოიპარეს. პოლიციამ დააპატიმრა ყარანგოზიშვილის მსახური ქალი ქეთევან კობალაშვილი.

✦ 16 დეკემბერს ღამე თელდოსიევის ქუჩაზე ბათუმის მცხოვრებს ფრიდრიხ ომენცენტერს თავს დაეცა რამდენიმე შეიარაღებული კაცი. უცნობნი მისწვდნენ ყელში და დაუწყეს ხრჩობა. ყვირილზე გაჩენილან პოლიციელები და ორი კაცი დაუპატიმრებიათ—სტეფანე არუთინოვი და გრიგორ ზანგილაძე.

✦ 15 დეკემბერს, ღამის 2 საათზედ, ტფ. სადგურის კომენდანტის სამმართველოს წინ ორი შეიარაღებული კაცი დაუხვდა მიმავალ მტლს, გააჩერა და შიგ მჯდომ აირაპეტ პულიკოვს ფული მოსთხოვა. პულიკოვს უარი განუცხადებია, რის გამოც უცნობებს ჩამოუგლეჯიათ საათი, ამოუცლიათ 59 მან. და მიმალულან. მძარცველები დააპატიმრეს, რომელნიც აღმოჩნდნენ სერგო მარტიროსიანცი და აბელ მატველიანცი. დაპატიმრებულთ აღმოაჩნდათ საათი და 33 მან.

✦ ვორონცოვის ქუჩაზე ყაზაროვის სახლში მამადი იუსუფ კარიმოვის თოფის წამლის საწყობში აღმოაჩინეს 6 ფუთი და 29 გირვანქა თოფის წამალი, 312 გილზი და სხვა და სხვა მასალა. კარიმოვს ნება ჰქონია მხოლოდ 30 გირვანქა თოფის წამლის გაყიდვისა. იგი დააპატიმრეს.

✦ ამ დღეებში მიკიჩა ბაღდასაროვს გაუტეხეს ტყავეულობის მაღაზია და გაიტაცეს 560 მან. საქონელი. ქურდები დააპატიმრეს; აღმოჩნდნენ სტეფანე ჩიკულაევი, კონსტანტინე ბუჩატსკი და მაკარ ჩიკუნოვი.

## ქუთაისის ქრონიკა

—:—

✦ 21 დეკემბრისთვის კლუბში დანიშნულია საქველ-მოქმედო საღამო ქართულ გიმნაზიის ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოდ. ამ საღამოებს მართავს ხოლმე თავად-აზნაურთა წინამძღოლის თავ. წერეთლის მეუღლე და სხვა ამ გვარ საღამოებიდან ბევრად განირჩევა როგორც პროგრამით, ისე ასრულებით. ამ საღამოსთვის მოწვეულნი არიან ოპერის არტისტები ქ-ნი ტურჩანინოვა, ბ-ნი ევლახოვი, თავ. ნ. ერისთავი, რუსული დრამის არტისტი ამალიინი და სხვანი. გარდა ამისა საკონცერტო განყოფილებაში მონაწილეობას მიიღებენ რაჭველებისა და გურულების ხორო. ეჭვი არ არის, რომ საღამო ჩვეულებრივად ბევრ ხალხს მიიზიდავს.

# ფელეტონი

## ილია ჭავჭავაძე, როგორც მგოსანი

IV *)

**წინააღმდეგი ელემენტი ილიას ნაწერებში და გლეხთა ტიპები.**

ზემო-ნათქვამიდან აშკარაა, რომ ილია ჭავჭავაძეს თავის პირვანდელ ნაწერებში სრულიადაც არა ჰქონია აზრად გლეხთა სავსებითი დახასიათება; გლეხები ავტორს მხოლოდ იმდენად აინტერესებდნენ, რამდენადაც ისინი წარმოადგენენ: 1. ობიექტს თავად-აზნაურთა თარეშობისას და 2. მებრძოლ ელემენტს, ამ მოვლენასთან საწინააღმდეგოდ გამოსულს. ამიტომაცაა, რომ ილია თავის ნაწერებში: „გლეხის ნაამბობი“, „კაცია-ადამიანი“, „კაკო ყაჩაღი“ და „სცენები მომრიგებელ შუამავალთან“ უმთავრესად თავად-აზნაურობის დახასიათებას აქცევს ყურადღებას. ფსიხოლოგიურად ეს ადგილი ასახსნელიცაა. მგოსანი თავის მიზნად ჰსახავს ბრძოლას ამ მოვლენასთან; იგი იმავე თვალით უყურებს ამ საქმეს, როგორითაც გლეხი, თუ კი შესაძლებელია ოდესმე სხვა წრიდან გამოსულ ადამიანისათვის სავსებითი შეთვისება და შესისხლ-ხორცება მეორეს წრის მიმართულებისა. მაგრამ ამ მოთხრობებში მეორე ელემენტად გამოყვანილნი არიან გლეხები, რომელნიც შეგვიძლიან ორ ტიპებად გავყოთ: ერთი გვარი გლეხთა, გამოყვანილი „კაცია-ადამიან“-ში დასურათხატებულის დაჩაგრულ, ხმის ამოუღებელ ადამიანებად, რომელთაც მართლადაც დაუკარგავთ წარმოდგენა თავის თავის ღირსებაზედ, იმდენად ძლიერია ხედგავლენა მაზედ ბატონ-ყმურ წესწყობილებისა. დიდხანს რომ არ გავჩერდეთ ამ ტიპებზედ, საკმაოა მოვიყვანოთ მარტო „ლამაზისეულის აღწერა“.

„სასაცილო რამ იყო ეს ლამაზისეული; ერთი რაღაც უშნოდ ჩასუქებული, ჯმუხი, ჰუჰყიანი, ტანზედ ეცვა ხამი ჩითის კაბა. ჰუჰყისაგან ვერ გაირჩეოდა, რაფერისა იყო, კალთები აქა-იქ გადამწვარი ჰქონდა, ზამთარში ცეცხლთან ახლო გდებისაგან, ბოლოები სულ მომპალი და შემოფხრეწილი ჰქონდა, დახეულებიდამ გამოჩანდა ერთი რაღაც დამპალი საბნის ნაგლეჯი, კაბის ქვეშა გარშამო ჩამოკიდებული, მითომდა იუბკაა. აი მეხი კი დაგეცა! ამასაც კი იუბკა ჰსდომებია! თავზედ ეკრა შიგა-და-შიგ ამოფლეთილი ჩითმერდინი, ქალბატონის გამონაცვალი; იმ ამოფლეთილებში მუთაქის მატყლსავით დასორსვლილი შავი—უკადრავად არ ვიყო,—წილიანი დაუვარცხნელი თმა მუჭამუჭა ამოშვეროდნენ. ქუსლებ დახეთქილი, მუგუზალსავით შავი ფეხები, წენგოსაგან შელებილი ხელები, ცხვირ-პირი ქვაბების მურით მოთხუპნული—აი ამ გვარი იყო ის ცხოველი, რომელსაც დარეჯანი „ლამაზისეულის“ ეძახდა და რომელიც გულხელ-დაკრეფილი დაჰყურებდა ბალან-გაცვივნულ ხალიჩასა“...

თუ ეს სურათი მოწამეა ყოველ გვარ ადამიანურ გრძნობის და თავმოყვარეობის აღმოფხვრისა ბატონ-ყმობის მიერ გლეხთა გულში, მოწამეა უიმედობის და სასოწარკვეთილებისა. „კაცია-ადამიან“-შივე დასურათებულნი არიან ისეთი გლეხნიც, რომელნიც, მართალია, ჯერ არ ეწინააღმდეგებიან ბატონებს, მაგრამ მაინც იმ ნაირ მდგომარეობამდე არ მისულან, რომელშიაც ლამაზისეულია. ერთის სიტყვით. იმ მცირეოდენ და წვრილმან სხვა და სხვაობათ რომ თავი დავანებოთ, რომელიც არსებობს „კაცია-ადამიან“-ში გამოყვანილ გლეხთა შორის, და მათი საზოგადო თვისებანი რომ გავითვალისწინოთ, დავინახავთ, რომ ჭავჭავაძეს მიზნად ჰქონდა მარტო აღნუსხვა მისი, რაც არსებობდა იმ დროს, რას წარმოადგენდა გლეხ კაცი იმ მრავალ გზის „დაწიოკებულის“ გაჰო, რომელიც თვით მგოსანს აქვს დასურათხატებული, როგორც ერთ-გვარი წესი მოსამსახურეთა და, საზოგადოდ, გლეხთა მორჩილებაში ჰყრისა.

სულ სხვა აზრით არიან გამოყვანილნი და დასურათხატებულნი გლეხნი „გლახის ნაამბობ“-ში. ამ მოთხრობის ერთს ძველ გამოცემაში, (დაიბეჭდა 1879 წელს ა. საფაროვის მიერ) მოიპოვება გამომცემლის წინასიტყვაობა, რომელიც ათასჯერ უკეთესად ნათელ-ჰყოფს მგოსნის დედააზრს და მიზანს, ვიდრე სქელ ტომიანი გამოკვლევა ა. ხახანაშვილისა და სხვათა. საყურადღებო ეს წინასიტყვაობა იმითაა, რომ იგი ჰმოწმობს, თუ როგორ გაიგეს თანამედროვეებმა ილია და როგორ დააფასეს იგივე მოთხრობა ვითომდა მეცნიერებმა. გამომცემელი სწერს:

„აქ (ესე იგი „გლახის ნაამბობ“-ში) არის დამტკიცებული საზოგადოთ ის აზრი რომ გლეხსაც შეუძლიან ადამიანური ღირსებების მითვისება და გაგება, ოღონდ კი მიეცით მას შემთხვევა, რომ მან თვალითა ნახოს ეს ღირსებები... აქ არის გამოყვანილი გლეხ-კაცობის უკეთესი იდეალი“...

„ამიტომ, რადგანაც ქ. ჭავჭავაძის გლეხი ჯერაც უზომოთ მაღლა სდგას ჩვენ გლეხობაზე, შეგვიძლიან ვთქვათ, რომ „გლახის ნაამბობის“ დიდ-ხანს დარჩენილი თავისი ღირსეული მნიშვნელობა და გავლენა ჩვენ ცხოვრებაში... ის ბევრჯელ გადუშლის ჩვენს ხალხს თავის გულის სუფთა გრძნობებს, ჯერ ბევრჯელ დაუდასტურებს ნამდვილი გლეხური გულით გლეხის მდგომარეობაზე, მის ბედ იღბალზე; ბევრ გლეხს მოჰგვრის იგი თვალზე ცრემლსა, ბევრს სურათს აღუდგენს გულში, ისეთ სურათებს, რომლებიც დღესაც ათასობით ხდება გლეხის თვალწინა“.

ასე ახასიათებდა ვიღაცა ა. საფაროვი გლეხთა ტიპების მნიშვნელობას „გლახის ნაამბობ“-ში და ჩვენ თავი რომ დავანებოთ მის დასაბუთებას, რომელიც ჩვენთვის სრულიად უმნიშვნელოა, და ყურადღება მივაქციოთ მარტოოდენ საფაროვის დასკვნას, მეტი არა დაგვრჩენია რა, რომ სრულიად დავეთანხმოთ მას. მართლადაც და, „გლახის ნაამბობ“-ში გამოყვანილია ბრძოლა გლეხთა ადამიანურ ღირსებების მოსაპოებლად, სურვილი მათის ამნაირ ცხოვრებისა. აქ ჩვენ თვალ წინ ნათლად იშლება სურათი, როგორ ზრდიდა ბატონ ყმობა, ერთის მხრივ, თვით-ნება მებატონეს და მეორეს მხრივ, იძულებით ყაჩაღად გავარდნილ გლეხებს. ყველა ის, ვისაც კი არ უნდოდა ისე დამორჩილებოდა ბედს, როგორც „კაცია ადამიანის“ ლამაზისეული, იძულებული იყო ძალით მოეპოვებინა თავისი უფლებანი. განა გაბრიელი თავდა-პირველად ებრძოდა ბატონ-ყმობას, როგორც წესწყობილებას? არა. იგი თავის ბატონთან კარგ დამოკიდებულებაშიაც კი იყო; ამნაირი სოციალური მისწრაფებანი მას არც კი ჰქონია. მაგრამ აღზრდილს „ვეფხვის ტყაოსან“-ზედ და უკვე მიჩვეულს ადამიანურ ცხოვრებას, ვერ მოეთმინა, რომ ბოლოს ეს ბატონ-ყმური წესწყობილება მასაც და იმის მახლობელსაც, მის დანიშნულს არ ინდობს, და ამიტომაც ნება-უნებურად ჩაერია ბრძოლაში. ამნაირად, გაბრიელს იქნება წარმოდგენაც არა აქვს ბატონ-ყმობის საზოგადოებრივ მავნებლობაზედ; იგი ჰგრძნობდა მხოლოდ, რომ ეკონომიურად დამონებას მოჰყვა ადამიანური დამონებაც, გრძნობისა და გონების დათრგუნვა და ყოველის წმინდათა წმინდის შელახვა. უწინ იქნება ისიც შველოდა ბატონს მამულის მოვლაში და თვითონაც იღებდა მონაწილეობას გლეხთა გაბეგვრაში, მაგრამ ბოლოს მიჰხვდა, რომ გაბეგვრის გარდა სულიც და გრძნობაც არ დაინდო ბატონ-ყმობამ, მითიც დაიწყო ვაჟკაცობა ამ წეს-წყობილებამ. და მხოლოდ მაშინ, როდესაც თვით გაბრიელს ჰხვდა წილად გამოეცადნა შედეგი ამნაირ სულისა და გრძნობის დამონებისა, მასში გაიღვიძა კაცურ-კაცობის მიძინებულმა გრძნობამ, და აკი იცავდა კიდეც თავის თავს და თავის შელახულს გრძნობას იკმაყოფილებდა..

გაბრიელი წარმოადგენს, მეორე ჯგუფს ბატონ-ყმობის დროის გლეხთა ტიპებისას. ამ ჯგუფსავე ეკუთვნიან ზაქრო და კაკო ყაჩაღი. ამ ჯგუფს რომ დაუკვირდეთ, ადვილად მიხვდებით, რომ ყაჩაღად გავარდნა ყოფილა იშვიათი კი არა, ჩვეულებრივი ამბავი და საშუალება ბატონ-ყმობის აუტანელ პირობებისაგან თავის დახსნისა. „კაკო ყაჩაღ“-ში ეს ნათლად არის დახატული. იქ არის სცენა, როგორ გროვდებოდნენ ბატონის ძროხაში მოსამსახურე ბიჭები, ღამე ცეცხლს შემოუსხდებოდნენ და უამბობდნენ ხოლმე ერთმანეთს სხვა და სხვა ამბავს. თვითა შინაარსი ამ ამბებისა მოწამეა იმისი, რომ გლეხთა გულში ბატონ-ყმობასთან ბრძოლა შეადგენდა სანატრელ საგანს, რომ ყაჩაღად გავარდნილი გლეხნი იყვნენ იდეალნი არა მარტო მგოსნისათვის, არამედ თვით დანარჩენ გლეხთათვის. ამ სცენიდან ვი-

*) იხ. „ისარი“ № 278.

✦ გუბერნატორის განკარგულებით, დაატუსაღეს რეალურ სასწავლებლის მოწაფე კობალეიშვილი, რომელსაც თურმე ადმინისტრატიული გადასახლება მოელის. ამ გარემოებამ მოძრაობა გამოიწვია მოსწავლეთა შორის და კლასიკურ გიმნაზიაში 14 ამ თვეს მოსწავლეებმა სწავლა შესწყვიტეს და კრება გაამართეს. დირექტორმა გლუშაკოვმა რამდენჯერმე მისცა წინადადება მოსწავლეებს, დაიშალენითო, და როცა არ დაუჯერეს, პოლიციას აცნობა. პოლიცია ბ-ნ ივ. კეიდის მეთაურობით, რომელიც ამ ჟამად პოლიცმეისტრის თანაშემწის მოვალეობას ასრულებს, მალე გამოცხადდა პოლიციელებით და კრება დაიშალა. ამასობაში გაჩნდნენ აფიცრის მეთაურობით ყაზახებიც, რომელთაც საქმეში ჩარევა აღარ დასჭირდათ. ხმა პოლიციისა და ყაზახების მოსვლის შესახებ გიმნაზიაში ელვის სისწრაფით გავრცელდა ქალაქში. მრავალი დაინტერესებული გაემართა გიმნაზიისაკენ. საქმე მშვიდობიანად გათავდა.

✦ ქართულ გიმნაზიის მტერ-მოყვარენი და ისინიც, რომელნიც დაინტერესებულნი არიან იმაში, რომ სახელმწიფო სასწავლებლების მოუწყობლობა სხვას მოახვიონ თავზე, ხმასავრცელებენ ქალაქში, რომ გიმნაზიისა და რეალურ სასწავლებლის არეულობა ვითომ იმითია გამოწვეული, რომ ქართულ გიმნაზიის მოწაფენი ნაადრევად დაითხოვეს, ხოლო ნაადრევი დათხოვნა ვითომ იმან გამოიწვია, რომ მოსწავლენი გაფიცვას აპირებდნენო. სხვა კარგი რამე სთქვით, თურმე ქუთაისში ჭორი და ისიც უგვანი, მალე ვრცელდება და ამ ხელოვნურად შეთითხნილ ჭორსაც მიუღწევია გუბერნატორამდის, რომელმაც 14 ამ თვეს დაიბარა ქართულ გიმნაზიის დირექტორი და შეეკითხებია, რამდენად მართალია ეს ხმებიო. ბ-ნ იოსებ ოცხელს დაურწმუნებია გენერალი სლავოჩინსკი, რომ მოსწავლეთა დათხოვნა გაფიცვის მოლოდინმა კი არა, გადამდებ სენთა გავრცელებამ გამოიწვია და მთავრობის სასწავლებლებში უწესოებას არავითარი კავშირი არა აქვს ქართულ გიმნაზიის ნაადრევ დათხოვნასთანაო.

✦ მშობელთა კრებები რეალურ სასწავლებელში, გიმნაზიასა და ქალების სასწავლებელში ყველა ერთ დღეს მოხდა და ამის გამო ბევრმა, ვისი შვილებიც სხვა და სხვა სასწავლებელში სწავლობენ, ვერ მოასწრო კრებაზე დასწრება, და კლასიკურ გიმნაზიასა და ქალების სასწავლებელში კრება არ შესდგა. ეჭვი არ არის, ამას სასწავლებლების ადმინისტრაცია მშობელთა გულ-გრილობას მიაწერს და იმას კი აღარ მიიღებს მხედველობაში, რომ ამ გულ-გრილობაში მასაც უძევს წილი. რეალურ სასწავლებლის მთავრობამ, გარდა გაზეთში დაბეჭდილ განცხადებისა, მშობლები კრებაზე პირად ბარათებითაც მიიწვია და კრება, გარდა ორის კლასისა, ყველგან შესდგა და არჩევანიც მოხდა. რა უჭირდათ სხვა სასწავლებლებს, რომ მათაც ბარათებით მიეწვიათ მშობლები?!

✦ ეს ორი დღეა ქუთაისში დიდი ყინვებია. ხელ-მოკლე ხალხი შეშის სიძვირის გამო დიდ გაჭირვებაში ჩავარდა.

## პრესსა

პოლონეთის „მატიცის" დაკეტვამ მთელი ქვეყნის საზოგადოებრივი აზრი აღაშფოთა და აღელვა დასავლეთ ევროპის პრესსა ერთხმად ჰკიცხავს ასეთ ბარბაროსულ საქციელს და კულტურის განადგურებას. თვითონ პოლონელებზე ამ ამბავმა უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა. „რეჩის" ვარშაველი კორესპონდენტი იწერება:

ვარშავის გენ.-გუბერნატორის სკალონის მიერ მიკეტილი «მატიცა» უდიდესი საზოგადოებრივი დაწესებულება იყო მთელ რუსეთში. იგი დაიბადა მხოლოდ ერთი წლის წინად და გაიზარდა საარაკო სისწრაფით. მთელი პოლონეთის ერი იღებდა მონაწილეობას ამ საქმეში და ისე შესცქეროდა მას, როგორც თავის ეროვნულ დიდებასა და სიამაყეს. ყველა პოლონური გაზეთი ყოველ დღე პირველ გვერდზე ბეჭდავდა უშველებელ მოწოდებას: „როცა და სადა კი შეიძლება, შეაგროვეთ შემოწირულება «მატიცას» სასარგებლოდაო». 3 მაისს, პოლონეთის 1793 წლის კონსტიტუციას წლის თავზე, მხოლოდ ერთი დღის განმავლობაში პოლონეთის ხალხმა „მატიცის" 197,488 მანეთი შესწირა. «მატიცას» ჰქონდა ოთხი განყოფილება (საერო განათლებისა, ფინანსიური, იურიდიული და საორგანიზაციო-სტატისტიკური), 14 საოლქო განყოფილება და 781 წვრილი განყოფილება, «კოლოდ» წოდებული, რომელთა უმეტესი ნაწილი სოფლებში იყო დაარსებული.

„მატიცას" სკოლებში სწავლობდა 61,908 მოსწავლე, თავშესაფარში იყო 14,401 ბავშვი, ბიბლიოთეკებში 221,971 ტომი, წლიური შემოსავალი უდრიდა 810,673 მანეთს; მას ერთ წელიწადში გაუმართავს 2708 ლექცია, ჰქონდა 14 სახალხო უნივერსიტეტი.

ასე იზრდებოდა „მატიცა" იმ დროს, როცა მთელი პოლონეთი გახვეული იყო რევოლიუციისა და ანარქიის ალში და იხრჩობოდა სამხედრო წესების მარწუხებში!

ასეთ საზოგადოების დაკეტვამ თავზარი დასცა ყველა პოლონელს, განურჩევლად მიმართულებისა. მთელი პოლონეთი ფეხზე ადგა. პოლონური გაზეთი „გაზეტა კოდზიენა" სწერს:

„მატიცას" დაკეტვა მთელ პოლონეთს ღრმა კვალს ამჩნევს და მის ფსიხიკაზე გაცილებით უფრო ხანგრძლივ შთაბეჭდილებას სტოვებს, ვიდრე მრავალი მოვლენა უკანასკნელ წლებისა. ჩვენი „მატიცა" ჩვენი ხალხის დიდება და სიამაყე იყო. მაგრამ ასეთ უბედურებას ჩვენ დამშვიდებულნი ავიტანთ, ვინაიდან ხან მოკლე არსებობა ამ საზოგადოებისა ცხადად გვიმტკიცებს, რომ პოლონეთი ჯერ კიდევ ცოცხალია და მას შერჩენია სიცოცხლისა და განვითარების უნარი და ნიშან წყალი.

პოლონელებს ამით მაინც შეუძლიანთ ინუგეშონ თავი. მათ იმდენი უნარი აქვთ სიცოცხლისა და განვითარებისა, რომ დღეს თუ ხვალ „მატიცას" მაგივრად ასეთსავე ძლიერსა და მძლავრ საზოგადოებას დააარსებენ.

### ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კრება

კრება დაიწყო 11 საათზე. ამ დღეს კრებას უნდა მოეხდინა არჩევნები გამგეობისა, თავმჯდომარისა და სარევიზიო კომისიისა. კრებას დაურიგეს პროექტი წესდებისა საზოგადოების განყოფილებათა დაარსების შესახებ. 9 დეკემბრის კრება დაეთანხმა თავმჯდომარის განცხადებას ამ პროექტის შესახებ და დაადგინა: დაევალოს გამგეობამ განიხილოს ეს პროექტი და მომავალ სამისო კრებას წარუდგინოს მოხსენება და თავისი აზრი იმის შესახებ. მიუხედავად ამისა, კრებამ ხმის უმეტესობით გადასწყვიტა პროექტის განხილვა ამავე კრებაზე და ამ გადაწყვეტილებამ კრებას დააკარგვინა ოთხი საათი ტყუილ-უბრალოდ. წაიკითხეს პროექტი წესდებისა. შეუდგნენ იმის განხილვას და მალე იმ აზრს დაადგნენ, რომ პროექტი ზერელედ არის შედგენილი, არ არის მისი ძირითადი პრინციპები და არც დასაბუთებულია. გამოირკვა, რომ საზოგადოების რეორგანიზაციის მოსახდენად საჭიროა შესაფერის ცვლილების შეტანა წესდებაში. ყველა თანახმა იყო, რომ ორივე საქმე უნდა დაევალოს ან განსაკუთრებულ კომისიას, ან გამგეობას, მაგრამ დაუსრულებელი კამათი ასტყდა იმის გამო, თუ ვის უნდა მიენდოს ეს საქმე, კომისიას თუ გამგეობას. ეს საკითხი დაუკავშირეს მეორე საკითხს: რა საფუძვლებისა და პრინციპების თანახმად უნდა მოხდეს საზოგადოების რეორგანიზაცია და კრებამ უნდა მისცეს თუ არა სახელმძღვანელო დირექტივები იმ კომისიას ან გამგეობას, რომელსაც დაეკისრება საზ—ის რეორგანიზაციის პროექტის შედგენა. ამ საკითხმა მთელი კრება ორ ბანაკად გაჰყო. წარმოდგენილი იქმნა ორი რეზოლიუცია: გ. ლასხიშვილისა და ნ. ელიავასი.

ლასხიშვილის რეზოლიუცია:

„საზოგადო კრებამ განიხილა რა პროექტი ადგილობრივ განყოფილებათა წესდებისა, დაადგინა დაევალოს გამგეობას და კომისიას მომავალ კრებისათვის შეიმუშაოს ახალი პროექტი თანხმად შემდეგ პრინციპებისა: 1) უფრო გადემოკრატდეს, უფრო დაუახლოვდეს ხალხს საზოგადოება; 2) მეტი თავისუფლება მიენიჭოს ადგილობრივ განყოფილებათ და ამასთანავე დაცულ იქმნას კავშირი ყველა ადგილობრივ განყოფილებათა და ცენტრის შორის. 3) საზოგადოება მომავალში გადაკეთდეს სადელეგატო კრებებათ ყველა განყოფ. და ცენტრ. საზოგადოებისა. ამ პრინციპ. მიხედვით შემუშავებულ იქნას არსებულ წესდების სათანადო მუხლები".

ელიავას რეზოლიუცია:

„საჭიროა მიგვაჩნია გაფართოვდეს საზოგადოების მოქმედება. ამ მიზნის მისაღწევად დაარსდეს საზოგადოების განყოფილებანი პროვინციებში, რომელთაც მიეცემათ მიზნის შესაფერი ორგანიზაცია. ამ საქმის მოსაწყობად არჩეულ იქნეს განსაკუთრებული კომისია, რომელმაც უნდა იხელმძღვანელოს კრებაზე გამოთქმული აზრებით და გამგეობასთან ერთად წარმოუდგინოს თავისი მოხსენება მომავალ საზოგადო კრებას. ხოლო რადგან არსებული წესდება არ შეეფერება დღევანდელ პირობებს, ამავე კომისიას დაევალოს მთელი წესდების გადასინჯვა და შესაფერი პროექტის წარმოდგენა".

სანამ ამ ორ რეზოლიუციას კენჭს უყრიდნენ, აღძრულ იქმნა შემდეგი პრინციპიალური საკითხი: ახლად ჩაწერილ 18 წევრს ექნებათ თუ არა კენჭის ყრაში მონაწილეობის მიღების უფლებაო. ბ-ნი ელიავა და მისი ჯგუფი თხოულობდა, რომ კრებას ჯერ ახალი წევრები მიეღო და მერე მიეხდინა კენჭის ყრა. კრებამ 72 ხმის უმეტესობით, წინააღმდეგ 29-სა, დაადგინა ახალ წევრების მიღება მოხდეს კრების ბოლოში, კენჭის ყრის შემდეგ. როცა ჯერი მივიდა რეზოლიუციის მიღებაზე, ელიავამ განაცხადა, რომ ის თანახმაა ინსტრუქციის შედგენა და წესდების შეცვლა მიენდოს გამგეობასა და კომისიას ერთად და ორივე რეზოლიუცია გადაეცეს მას „მხედველობაში მისაღებად". წევრთა თხოვნით ლასხიშვილმაც მოხსნა თავისი რეზოლიუცია. ამ რიგად, კრებამ მეორედ მიიღო წინანდელ კრების დადგენილება და ტყუილ უბრალოდ დაჰკარგა 4 საათი. კრების დიდი უმრავლესობა ოთხი საათის განმავლობაში იმაზე ლაპარაკობდა, რომ გამგეობის დირექტივები მიეცეს, შემდეგ შავა კიდეც ეს დირექტივები და მერე მოულოდნელად გადასცა გამგეობას მხოლოდ „მხედველობაში მისაღებად". კომისიის არჩევა და ახალ-წევრების მიღება გადაიდო კრების ბოლოსთვის, ჯერი მიდგა გამგეობის არჩევაზე.

ბარათები წარადგინეს. ერთმა წრემ, რომელსაც კანდიდატების დასასახელებლად რამდენიმე კრება და მოლაპარაკება ჰქონდა საზოგადოების სხვა და სხვა წევრებთან, წარადგინა დაბეჭდილი სია კანდიდატებისა. როდესაც ბარათები დასთვალეს და კენჭის ყრას უნდა შესდგომოდნენ, ერთმა წევრმა სიტყვა მოითხოვა და აი სწორედ ამის შემდეგ ასტყდა ერთი აყალ-მაყალი და აურზაური. საზოგადოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ, თავმჯდომარის სისუსტის გამო, ბევრი უთავბოლო ლაპარაკი იყო. ამასთან უმეტეს შემთხვევაში ლაპარაკობდნენ და კრებას თავს აბეზრებდნენ ერთი და იგივე კაცები. კრება თერთმეტ საათზე დაიწყო, ხოლო კენჭის ყრას რომ უნდა შესდგომოდნენ, უკვე ხუთი საათი სრულდებოდა. ყველა ამან უმრავლესობას თავი მოაბეზრა. ამასთან რადგან კამათი უკვე თავს მოსაბეზრებელი იყო და არჩევნებს შეუდგნენ, როგორც თავმჯდომარემ, ისე წევრებმა ზემო ხსენებულ ორატორს სიტყვის ნება აღარ მისცეს. ეს დაინახა ხელზე უმცირესობამ და ასტეხა აურ-ზაური. აშკარა იყო, რომ უმცირესობას კრების ჩაშლა უნდოდა, უნდოდა—არჩევნები არ მომხდარიყო და აღარც მოხდა... კრება დაიშალა.

## ნაფიქრ-ნაგრძნობი

### I

„მხედად სიყვარული, უზომო სიყვარული... ჩვენი ერთად ერთი იარაღი იმ საზოგადოებრივ ინდიფერენტიზმის დასაძლევად, რომელიც ახასიათებს ქართველ ერის ეხლანდელ ცხოვრებას"-ო, ამბობს გაზეთ „ისარის" № მე-267 ნომერში მოთავსებულ მეთაურის ავტორი.

განა მარტო ახლანდელ ჩვენს ცხოვრებას ახასიათებს საზოგადოებრივი ინდიფერენტიზმი? ეს სენი თითქო ჩვენს ეროვნულ თვისებას შეადგენს და, ვაი, თუ დღევანდელი მოწოდება: „სიყვარულის მზიდავნო გულით, თქვენ მხედად, თქვენ ძალგიძთ აქციოთ წინდაუხედავ ერის ცხოვრების უდაბნო! თქვენ უნდა მორწყოთ იგი თქვენის სიყვარულის ცრემლით. თქვენ უნდა დაადნოთ თქვენის ცრემლის ტბაში უკურნებელ სენად ქცეული საზოგადოებრივი ინდიფერენტიზმი, თქვენ უნდა ააყვავოთ ცხოვრება, თქვენ უნდა გაახაროთ ქვეყანა სიყვარულით"-ო, დარჩეს „ხმად მღაღადებელისად უდაბნოსა შინა"!..

გვებთ, რომ პატარაობიდანვე ამ აზრით იზრდებოდა გლეხ-კაცი, რომ მას არსებობა ენატრებოდა, და მარტოოდენ შესაფერი შემთხვევა იყო საჭირო, რათა გლეხი ყაჩაღად გავარდნილიყო. მაშასადამე ის, რაც თავად-აზნაურთა წარმოდგენით, სათაკილო და სასარცხვილო იყო და არის, გლეხთა მაშინდელ წარმოდგენით არა თუ უზნეო, სათაყვანო და სასახელოც იყო; ყველა ნატრობდა, რომ არსენასავით ღარიბთა და ჩაგრულთა მფარველად და მჩაგვრელად და სამაგიეროს გადამხდელად გამოსულიყო; ასეთი სხვა და სხვაობა შეხედულობისა ერთსა და იმავე მოვლენაზე ორ წოდების მხრივ აშკარად მოწმობს, რომ თვით მაშინდელი წარმოდგენა ზნეობაზედ წოდებრივი იყო...

ამ რიგად, ჭავჭავაძე ამ შემთხვევაში თანაუგრძნობს არა თავად-აზნაურთ, არამედ გლეხთ, რომ იგიც მათი თანახმაა, რომ ყაჩაღობა იყო სოციალური აუცილებლობა, ურომლისოდაც ბატონ-ყმობა, როგორც წეს-წყობილება, შეუძლებელი იყო. ავაზაკად გავარდნა შეადგენდა მაშინდელ პირობებში ერთად-ერთ საშუალებას ბატონ-ყმობისაგან თავის დაღწევისას. ეს მეორე ჯგუფი გლეხთა ტიპებისა თავის თავად იყოფება ორ ნაწილად: ერთნი, როგორც გაბრიელი და ზაქრო, იმისათვის არიან გამოყვანილნი, რომ ნათელ ჰყოს მგოსანმა ღრმა სოციალური პირობები და მიზეზები იმნაირ მოვლენისა, როგორიც ყაჩაღად გავარდნაა; რომ გვაჩვენოს, როგორ და რა დიდი ხნის ყოყმანის შემდეგ რჩეულობენ ისინი ამ ხელობას, ხოლო მეორენი, როგორც კაკო ყაჩაღი და ორიოდე სიტყვით ნახსენები არსენა, წარმოადგენენ მზა სურათს უკვე დამთავრებულის ადამიანისას, რომელსაც მომავალში აღარა მოელის რა, გარდა იმ ხელობისა და გაჭირვებისა, რომელიც მათ ბატონ-ყმობის ნაცვლად აირჩიეს. რომ ვიკითხოთ, რა დამოკიდებულება აქვს ერთ ტიპს მეორესთან, ადვილად მივხდებით, რომ ისინი ნათესაობრივს კავშირით არიან შეერთებულნი. რომ გაბრიელ და ზაქრო მომავალი კაკო და არსენა არიან, და არსენა და კაკო კი ერთხელ ყოფილნი გაბრიელი და ზაქრო. ამნაირად ორივე ტიპს მიზანად აქვს სავსებით დახატვა იმისა, თუ რა ზედგავლენას ახდენდა გლეხთა ცხოვრებაზედ ბატონ-ყმობა, როგორ მზადდებოდა ხოლმე მშვიდობის მოყვარე და გულჩვილ ადამიანისაგან შეუპოვარი და დაუდეგარი, ცხოვრებისგან გარიყული ყაჩაღი. ეს ნათესაობრივი და თანამდევრობითი დამოკიდებულება გაბრიელისა და ზაქროსი კაკოსთან იმავე გეგმაზეა აშენებული, როგორზედაც ლუარსაბის და დარეჯანის დახასიათება დათიკოს დახასიათებასთან.

ეს პირნი—ლამაზისეული, კაკო, გაბრიელი, ზაქრო—წარმომადგენელნი არიან ბატონ-ყმობის დროის გლეხებისა. მაშასადამე, ამ პირთა შემწეობით მგოსანს აზრად ჰქონდა გამოერკვია, თუ რანაირად უყურებდა თვით გლეხობა ბატონ-ყმობას, როგორ უვლიდა თავის თავს იგი ამ დროს... როგორც ვხედავთ, გლეხთა შორის არსებობდა ორ ნაირი მიმართულება ბატონ-ყმობისადმი! ერთი, რომელიც სრულიად ემორჩილებოდა ამ პირობებს და ამიტომაც სავსებით ჰკარგავდა თავის ვინაობას და პიროვნებას, და მეორე, პირიქით, ებრძოდა ამ მოვლენას და აშენებდა თავის ბედს მარტო ყაჩაღობაზედ, თავის თავ-მოყვარეობაზედ და თავისუფლების გრძნობის დაკმაყოფილებაზედ. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ილიამ მოგვცა მარტო ეს ორი უკიდურესი მიმართულება ბატონ-ყმობის დროს გლეხთა ცხოვრებიდან. ორივე მიმართულება, რასაკვირველია, როგორც უკიდურესი (სხვა და სხვა მხრივ მხოლოდ) არ იყო ისე გავრცელებული, როგორც საშუალო ამ მოძრაობათა, რადგან უმრავლესობა ყოველთვის შუა გზით მიდის და არა უკიდურესით. უმეტესი ნაწილი გლეხობისა, რასაკვირველია, არც ისე ემონებოდა ბატონს და ჰკარგავდა თავის პიროვნებას, როგორც ლამაზისეული, მაგრამ სამაგიეროდ, არც ისე თამამი და გამბედავი იყო, რომ მუდმივის ბრძოლით დაეცვა თავისი პიროვნება და ყაჩაღური ცხოვრება ერჩივნა ლაჩრულ და მონურ არსებობისთვის. ისინი სცხოვრობდნენ საშუალო საზომით, მათი მისწრაფებანი არც სრულიად მიჩლუნგული იყო და არც ისე თამამი, როგორც კაკოსი და გაბრიელის სურვილნი.

მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ საშუალო ყალიბის ტიპნი გლეხებში წარმოადგენდნენ ალბად უმრავლესობას, ილიამ მათ თითქმის არც კი მიაქცია ყურადღება. რა მიზეზია, რომ მგოსანი ეძებს სწორედ იმას, რაც უფრო იშვიათია და არა იმას, რაც უფრო ხშირია და ჩვეულებრივი? ლამაზისეული გვიჩვენებს იმას, თუ სადამდის შეუძლიან მიიყვანოს ადამიანი სრულიად ხმის ამოუღებლობამ და ქედის მოხრამ ცხოვრების წინაშე, როგორ ამოფხვრის ხოლმე ცხოვრება ასეთ ადამიანში ყოველს კაცურ-კაცობას და აქცევს მარტოოდენ „ცხოველად". გაბრიელი, კაკო და ზაქრო კი გვიხატავენ იმას, თუ რა არაჩვეულებრივი და არა სასურველი და არა სანეტარო ცხოვრება უნდა სწიონ მათ, ვისაც არ უნდა ქედის მოხრა უსამართლობის წინაშე. არც ერთი და არც მეორე ხსნას არ წარმოადგენს ცხოვრებაში, რადგან ორივე ასახიჩრებს ადამიანს, მაგრამ თუ ლამაზისეული ცხოველად ჩაითვლება, ყაჩაღებში ძრიელია ადამიანობის გრძნობა. ამათში დამალული ის ენერგია, რომელიც იხსნის გლეხებს და მისცემს მათ შეძლებას თავის დახსნის და ბედის გაუმჯობესობისას. რა მოსწონს ილიას მათში: შეუპოვრობა და ქედ-მოუდრეკელობა ცხოვრების წინაშე. ისინი ათას ტანჯვას რჩეობენ, ოღონდ კი ადამიანის სახე არ დაჰკარგონ. და თუ ერთ დროს ეს ძვირად უღირდათ მათ, თუ იძულებულნი იყვნენ ტყე-ღრეში ეცხოვრათ, სამაგიეროდ, მარტო ამ გამბედაობამ და შეუპოვრობამ საზოგადო გარემოებებთან ერთად დასცა ეს წეს-წყობილება. ამნაირად ზაქრო, კაკო და გაბრიელი წარმოადგენენ იმ ელემენტს, რომელმაც გლეხობაში შეურყია ბატონ-ყმობას ნდობა და სახელი, და მით მოამზადა ნიადაგი გლეხთათვის უკეთეს მომავალისაკენ მისწრაფებისა. განა მარტო ბატონ-ყმობის დროში იყო საქებური ეს თვისებანი: მოძმეთა შებრალება, მჩაგვრელთა დასჯა, ჩაგრულთა შველა, შეუპოვრობა ამ ცხოვრების დიდებულთა წინაშე ისეთი თვისებებია, რომელიც საქებური არის და იქნება მუდამ. რომ ილიას ისე არ აინტერესებდა სურათი დავრდომილ გლეხ-კაცისა, რომელსაც ადამიანის ღირსებაზედ წარმოდგენაც კი დაუკარგნია, არამედ სურათი ცხოვრების შეუპოვარის და მასთან მებრძოლის გლეხ-კაცისა, როგორც ის ნიადაგი, რომელზედაც უნდა აშენდეს გლეხ-კაცის მომავალი, ვფიქრობთ, რომ აშკარაა ილიას პოზიცია ამ მოვლენაში, მისი ზნეობრივი თვალთ-საზომი. თავისებურობა აქ ის არის, რომ ჭავჭავაძე ამ მოვლენას უცქერის მოიმედე გლეხის თვალით.

საჭიროა ეხლა იმისი გადაწყვეტა თუ რამდენად ახლო იყო ასეთი პოზიცია სინამდვილესთან, რამდენად რეალური იყო ეს ტიპები. ჩვენის აზრით, თუმცა ეს ტიპები ყოველ მხრივ არ არიან დახატულნი, მაგრამ ისინი მაინც რეალურ ელემენტს წარმოადგენენ, რადგან ცხოვრების სინამდვილეში მართლად მოიპოვებოდნენ ამისთანა პირები. ასეთი ადამიანები ნამდვილად წარმოშობა ცხოვრებამ. მაშ რაღად ვეძახით ხოლმე ამ ტიპებს არა რეალურს, არამედ სანტიმენტალურად გამოხატულს? იმიტომ, რომ მგოსანი აიდეალებს მათ ისე, როგორც ხალხი ათაყვანებდა. საჭიროა ვიცოდეთ, სხვა რა ელემენტზედ უნდა დაემყარებინა მგოსანს თავისი იმედი, თუ არა ამათზედ? სხვა ვინ იყვნენ ილიას ნაწერებში გამოყვანილნი ისეთნი, რომელთაც შეიძლებოდა დარქმეოდათ „მომავალი" პირნი ცხოვრებისა? არავინ. მაშ რაღად გვიკვირს, თუ მგოსანმა სწორედ ის გაიდეალა ცხოვრებაში, ვინც იმ დროს უკეთესნი იყვნენ. რასაკვირველია, იგი ასე უნდა მოქცეულიყო. მაგრამ ეს იმას-კი არა ნიშნავს, ვითომ ილიას ეს ტიპები ყოველ მხრივ უნაკლულოდ მიაჩნდა. პირიქით, მათ ბევრი ნაკლი აქვთ, მაგრამ სხვებთან შედარებით ბევრი კარგი მხარეც მოეპოვებათ. ავტორმა აღნიშნა კარგი მხარეები, როგორც თავმდები კარგის მომავალისა. მაშასადამე, აქ საშუდამო იდეალი კი არ არის გამოყვანილი, არამედ შედარებითი; დასურათებულია უმჯობესი პირი დანარჩენთა შორის. ამიტომაც ეს ტიპები რეალურს მოვლენას წარმოადგენენ...

მარა და სად არიან „სიყვარულის მზი-დავნი?“ მე ვერ ვხედავ. ჯერ ჩვენში თვით-გრძნობას სამშობლოს სიყვარულისას ვერ მოუკვდებია მესაფერი ნიადაგი: ხალხს უკანასკნელ დრომდის არა გაეგებოდა რა და, როცა შეიგრო რამე, ისე მოეწყო საქმე, რომ შეიყვარა კი არა, შეიძულა ყოველივე თვისი, ხოლო „ინტელიგენტებში“ თვით ისინიც, რომელთაც ქართველ ნაციონალისტების სახელი დაიმსახურეს, მხოლოდ წარსულსა სცემდნენ თაყვანს და ახალი, თუნდ სიტყვაკაზმული მწერლობა, მათთვის არ არსებობდა; არავინ არ ზრუნავდა იმის წინმსვლელობისა და განვითარებისათვის.

არა თუ გარეშენი, თვით მახლობელი ნათესავნიც არაფრად აგდებდნენ ქართველ მწერალთ: სიცოცხლის დროს არ ეხმარებოდენ და სიკვდილის შემდეგ არა ზრუნავდნენ მათის ნაამაგევის ღირსეულად დაფასებისათვის. დამეთანხმებით, რომ ჩვენში მიღებული მხოლოდ ცხედრის დასაფლავების დროს ტირილი და წუწუნი, რომლის შედეგადაც არა რჩება რა, სათვალავში მისაღები არ არის!

სამართლიანად ამბობს პატივცემული იაკობ გოგებაშვილი თავისს „მცირე წინადადებაში“ რომ „დავიწყება ღირსეულის სალიტერატურო ნაშრომისა ნამდვილი სალიტერატურო მკვლელობაა და მიუტევებელს ცოდვას შეადგენს ჯერ მემკვიდრეებისთვის და მერე საზოგადოებისთვის“ აი, და რამდენი ამისთანა „მკვლელობა“ უკანასკნელ წლების განმავლობაში ნახულია ჩვენში!

ეგებ, კვლავ მაინც იქმნას აღსრულებაში მოყვანილი იაკობის წინადადება, „რომ შევქმნათ ახლო მომავალში, იმისთანა სალიტერატურო საზოგადოება, რომელმაც უნდა უპატრონოს ყოველ ღირსეულის ლიტერატორის ნაშრომსა და ნაამაგევს, ბეჭდოს იგი, მოჰფინოს ხალხში და დღითი-დღე ამდიდროს ქართული სალიტერატურო საგანძური“ და ამიტომ ჩამოვთვლი ზოგ ჩვენ მიერ ნახსენებ „ამ გვარ სალიტერატურო მკვლელობათ“:

ა) „რ. ელისუბნელი“—ამ ფსევდონიმით მეოთხმოცე წლებში სწერდა რაჟდენ ჩიკვაიძე, ძმა ქუთაისში ცნობილთ ბ. ბ. კაპიტრატე, დიდიმისა და სხვა ჩიკვაიძეთა საბრალო ახალგაზრდობაშივე იმსხვერპლა ჭლექმა, მაგრამ მისი ლექსების კრებული დღესაც სასიამოვნო საკითხავი იქნებოდა პოეზიის მოყვარულთათვის, რომ ან მემკვიდრეთ, ან სხვა ვისმე გამოეცა;

ბ) „ვ. ჭალადიდელი“—გიორგი ქაჩაკიძე, ავტორი პოპულიარულ ლექსისა „მახსოვს პირველად“ და სხვათა;

გ) „ბოსლეველი“, „გარეშე მაყურებელი“ და სხ. ევსტათი მჭედლიძე, რომელიც შესანიშნავ კრიტიკულსა და პუბლიცისტურ წერილებს სწერდა ქუთათურ გაზეთ „შრომა“-ში, „დროება“-ში და სხ.;

დ) მიხეილ ხელთუფლიშვილი, რომლის რუსულად დაწერილი მონოგრაფია საქართველოს რუსეთთან შეერთებაზე თუმცა გადმოთარგმნილია და გამოცემულიც, მაგრამ სხვა მისი ნიჭიერად დაწერილი კრიტიკულ პუბლიცისტური წერილები კიდევ ელიან გამომცემელს;

ე) ნიკოლოზ ტარიელის ძე დადიანი, შესანიშნავი მცოდნე ქართულის ენისა, ისტორიისა და ძველის მწერლობისა; ამისი ნაწერების გამოცემა, სხვა რომ არა ვთქვათ-რა მარტო ენის შესწავლის მხრივ არის საჭირო;

ვ) ს. ამირაჯიბისა, რომელმაც ჩინებულად გადასთარგმნა რუსულად ბევრი საუკეთესო ქართული ლექსი; ამ თარგმანების გამოცემა თვალსაჩინო სამსახურს გაუწევდა ქართულ მწერლობის სახელის მოხვეჭას რუსეთში და სხვანი და სხვანი.

სხვა ჩვენს მდგომარეობაში მყოფნი, აი, თუნდ ჩვენი მეზობელი სომხები, სცდილობენ თავიანთი სულ პატარა ნიჭიც დიდათ მოაჩვენონ ყველას, რომ ამით კიდევ უფრო განამტკიცონ თავიანთი ეროვნული საქმე და ჩვენ კი დიდსაც არაფრად ვაგდებთ! ყოველი ქართველი მხოლოდ თავის თავს აფასებს და სთვლის მთავარ ღერძად, და აბა რადად იზრუნებს, რომ სხვა, თუნდ მისი მახლობელი ნათესავიც, რომელსაც რაიმე ნიჭი გამოუჩენია, დავიწყებას არ მიეცეს? დიახ, გვაკლია შეგნება ერთობის გრძნობისა, რომ ყოველი ჩვენგანი ნაწილია ერთის მთელისა, საქართველოსი, და ამიტომაც არის ჩვენში გამეფებული „საზოგადოებრივი ინდიფერენტიზმი“. სხვაგან სად ნახავ იმას, რასაც ჩვენში ხედავთ, რომ ბევრ ჩვენ საუკეთესო მწერალთა ნაწერები არ არის შეკრებილი და სახსხოდ გამოცემული. ამის შემდეგ რაღა გასაკვირველია, რომ ხალხმა, პირველ შემოძახებისათანავე, ზურგი აქცია ყოველსავე ეროვნულს და მოსწავლე ახალგაზრდობაც თანდათან კოსმოპოლიტობას იჩემებს; არამც თუ არ იმსჭვალება სამშობლოს სიყვარულით ეროვნულ გრძნობით. ბევრი უარყოფს კიდევაც, რომ ქართველია?

ფიფი.

## არხანგელსკიდან

პოლიტიკურ გადმოსახლების ბაირაღს ბევრი ქურდ-ბაცაცა მოჰყვა, რომელნიც მოსწყინდნენ ალბად ადგილობრივ ადმინისტრაციას და პოლიტიკურებს გამოაყოლეს. ეს ქურდ-ბაცაცები თავისუფლად მოქმედებდნენ აქ. მოწინააღმდეგე არავინა ჰყავდათ და რაც დაუხვდებოდათ, თავისუფლად მიჰქონდათ. ხშირად გამოფაშვილ დედაკაცს ან ტყვიით დაკოდილ მამაკაცს სტოვებდნენ ხოლმე; ეს არავის აწუხებდა. ამან გამოიწვია შარშან, შუა ზამთარში, პოლიტიკურების (განურჩევლად მტყუანისა და მართალისა) დატუსაღება. ყოველ დღე ოცობით მიდიოდა პოლიტიკური 40 გრადუსიან სიცივეში ეტაპით შორეულ მაზრებში. რამდენისამე თვის განმავლობაში ქალაქი სულ გასწმინდეს.

მას შემდეგ არხანგელსკის მცხოვრებლებმა თავისუფლად ამოისუნთქეს, არავინ მისულა მათთან და არ უბრძანებია „руки верхъ“-ო, მაგრამ ის, რაც აქა ხდებოდა შარშან, ეხლა მაზრებში ხდება. სხვათა შორის დღეს ადგილობრივ გაზეთს „არხანგელსკ“-ში ვკითხულობთ შემდეგს:

„პინეგიდან ამ დღეებში კევროლის სამრევლოში, პინეგის მაზრაში დაიწვა მღვდლის სახლი. ცეცხლს მოჰყვა ადამიანთა მსხვერპლი. როგორც გამოირკვა, დამწვარა სამი კაცი: მოხუცი მღვდელი, მოსამსახურე გოგო და სოფლის მცხოვრები ქალი. ცეცხლის დანახვაზე მოსულმა გლეხებმა დაინახეს, რომ ეზოსა და სახლის ყველა კარი ღია იყო. ამბობენ, სახლი ძარცვლებმა დასწვეს, რათა საზარელ მკვლელობის კვალი დაეკარგათ. მღვდელი კორელინი მდიდარ კაცად ითვლებოდა“.

ამისთანა შემთხვევებს ხალხი და მთავრობა ყოველთვის პოლიტიკურ გადმოსახლებულებს აჰკიდებს თავზე, რის გამოც ხალხი ძლიერ აღელვებულია ჩვენზე და შეიძლება რამე არა სასიამოვნო ამბავი მოხდეს.

სოლომონ ივანეს ძე ადამიას, რომელსაც 8 ოქტომბერს ოლქის სასამართლომ სამ-ნახევარი წლით ციხე გადაუწყვიტა მიშეცკაიას ასულის მოკვლის განზრახვისათვის, ჩაბარეს უწყება, რითაც მას იბარებენ მოსკოვში, საქმის გარჩევაზე დასასწრებლად. საქმე გაირჩევა სამ იანვარს პალატაში. საქმე პროკურორმა გადაიტანა პალატაში.

ერთ კვირაზე მეტია, სიცივემ 30 გრადუსს გადააჭარბა. ძლიერ ყინვების წყალობით, სასწავლებლებში მეცადინეობა შესწყდა.

ერმინე ხეთელი.

## პროვინციის ცხოვრება

**კავთისხევი** (გორის მაზრა). ჩვენ სოფელში მოსალოდნელია გლეხების ერთმანეთში შეტაკება მამულის შეძენის თაობაზე. როგორც საზოგადოდ ქართლში, კავთისხევშიაც ბევრია ისეთი მიწის მუშა გლეხი, რომელსაც მიწა სრულიად არ გააჩნია და თავს ირჩენს იჯარით აღებულ მიწის დამუშავებით დღეს, როდესაც მემამულეებისათვის დიდის მამულის შენარჩუნება ხელსაყრელი აღარ არის, ყოველი მათგანი სცდილობს მამულის თავიდან მოშორებას; ის ღარიბი გლეხები კი, რომელნიც ამ მიწებს ამუშავებდნენ, მოკლებულნი არიან საშუალებას შეიძინონ მამული ხელმოკლეობის მიზეზით. მათ დიდ მეტოქეობას უწევენ შეძლებულები; რეაქციით წაქეზებულნი, ისინი სცდილობენ მთელის მიწების ხელში ჩაგდებას და ღარიბებს კი მშრალზე სტოვებენ. აი, სწორედ ასეთი მოცილე კავთისხევის ღარიბ გლეხებსაც გამოუჩნდა. ორი იქაური შეძლებული გლეხი, სახელდობრ ილიკო აბუაშვილი და სარქისა ქსოვრელი სარგებლობენ შემთხვევით და სცდილობენ საკუთრად შეისყიდონ მთელი ის მამული, რომლითაც აქამდის ოცი კომლი საზრდოობდა. ეს ოცი კომლი შეამხანაგებას ითხოვენ მამულის ყიდვაში, მაგრამ მდიდრებისათვის ხელსაყრელი არ არის ღარიბების მონაწილეობა. თუ მოცილეობას თავი არ დაანებეს ზემოდ დასახელებულმა მდიდრებმა, ეჭვი არ არის შეტაკება აუცილებელია.

გ.

## სამღვდელოების დეპუტატთა კრება

15 დეკემბერი

ამ დღეს კრების დაწყებისას თავმჯდომარემ მღ. ოქროპირაძემ დეკ. თალაკვაძეს გამოუცხადა: წარსულ კრებაზე, ეგზარხოსთან შეკამათების დროს, სხვათა შორის თქვენ სთქვით, რომ უმაღლესად დამტკიცებულ წესდების ძალით სამღვდელოების კრებას უფლება აქვს მიიწვიოს არა დეპუტატები საქმეების დროს დასახმარებლად, ხოლო ეგზარხოსის ახალ განკარგულებითა და ინსტრუქციით ეს უფლება წაგვერთვა და ამით დაირღვა უმაღლესად დამტკიცებული კანონი საქართველოს ეგზარხოსის მიერაო. ეხლა ეგზარხოსი გთხოვთ, აღნიშნოთ რომელი წესდებაა უმაღლესად დამტკიცებული და რომელ მუხლის ძალით აქვს უფლება კრებას არა დეპუტატნი მიიწვიოს კრებაზეო. დეკ. თალაკვაძემ აღუთქვა ეგზარხოსს, უჩვენოს ეს კანონი.

30-მდე დეპუტატის თხოვნით კრებამ შემდეგ სხდომისათვის გადასდო 49 საკითხი საზოგადოებრივ მნიშვნელობისა და შეუდგა იმის განხილვას, თუ როგორ უზრუნველ ჰყონ ნივთიერად მღვდლები და დიაკვნები. 30 კაცის მიერ ხელმოწერილ განცხადებაში ნათქვამია, ჯერ ჩვენ მდგომარეობის გაუმჯობესობაზე ვილაპარაკოთ და ამისათვის ღონისძიება გამოვნახოთ და მერე სხვა საქმეები განვიხილოთო. მღ. გედევანიშვილმა აღწერა სამღვდელოების მდგომარეობა და განაცხადა: ჩვენის წოდების ნივთიერად დამაქვეითებელი, ერთის მხრით, საზოგადო მოძრაობაა, ხოლო მეორეს მხრით ჩვენი ვაჭრობა ხალხთან სამსახურის აღსრულების დროს. ჩვენ მღვდელმოქმედების შესრულებაში ფულს ვიღებთ და ეს იწვევს ზიზღს და უნდობლობას სამღვდელოებისადმიო. ესევე სთქვეს მღ. ბედიაშვილმა, იასონ ოქროპირიძემ. მღ. ხაზიშვილმა და თალაკვაძემ. მათ განაცხადეს, უნდა ხალხი განვათავისუფლოთ ყოველგვარ გადასახადებისაგან; ხალხი ამ ორი წლის განმავლობაში საშინლად გაწიავდა, ეხლა ზედ შიმშილობა ერთოპა და რაც არა გააჩნიათ რა, რა უნდა მოგვცეს. ჯამაგირი ხაზინიდან უნდა მიეცეს სამღვდელოებას. თუ ხალხში ცოდნასა და განვითარებას შევიტანთ, მაშინ სიყვარულსაც დავიმსახურებთო ამ აზრისა იყო ეს რამდენიმე კაცი. სულ სხვასა ჰფიქრობდა უმრავლესობა. ილაპარაკეს ღვთისავარიშვილმა, მიხაილოვსკიმ, დიუნიცკიმ და სხვებმა. მღ. ღვთისავარიშვილმა, სხვათა შორის, სთქვა: გკვემალულობიას ნუ ვთამაშობთ; ნაღდი ავიღოთ და ყველაფერი ვთქვათ. სულ ტყუილია შეუძლებლობაც და ხალხის სიყვარულის დამსახურებაც. ხალხი «დრამას“ და სხვა გადასახადებს იმიტომ კი არ გვაძლევს, რომ არა აქვს ამისი შეძლება, არამედ იმიტომ, რომ არ უნდა მოგვცეს. ჩვენ აქ უნდა დავადგინოთ, ეთხოვოს ეგზარხოსს შუამდგომლობა აღძრას ნამესტნიკის წინაშე, რომ გუბერნატორებმა პოლიციურის საშუალებით აიძულოს ხალხი ჩვენ დასაკმაყოფილებლად. თუ კუჭი მაძღარი არ გვექნება, ხალხისადმი სამსახური და სიყვარული რას გვიშველის! თუ ჯამაგირს სინოდი მოგვცემს, მაშინ იმას უნდა ვემსახუროთ და ხალხი არ დაგვემდურება, თუ ხალხს ვემსახურებით, მაშინ მან უნდა გაიჭიროს საქმე და ჩვენთვის ფული გამოიღოსო.

ზოგი ძალიან ააღელვა ღვთისავარიშვილის სიტყვამ, ზოგი კი თანახმა გახდა იმის მოსაზრებისა. ჯალიაშვილმა, ბარნაბაშვილმა და იას. ოქროპირიძემ განაცხადეს, ჩვენ რომ პოლიციის საშუალებით გადავახდევინოთ ფული, აღებითაც ვერაფერს ავიღებთ და სამუდამოდაც შევრცხვებითო. მღ. კამარმა განაცხადა, ხაზინას ვერ მოვთხოვთ შესანახ ფულს. უმჯობესია, მთავრობამ სასულიერო წოდებას თითო კომლს ათ ათი დესეტინა ადგილი დაგვირიგოს და თავს იქითი ვირჩენთო. თავმჯდომარემ უპასუხა, საქართველოში მიწები აღარ გახლავთო. სასაცილო იყო კამათი ტყავსა, ბირკალსა და სხვა ამისთანებზე. როგორც აღვნიშნეთ, განსახილველ საგანთა სიაში შეტანილია წინადადება, რომ ტყავი, ბარკალი და სხვა სამღვთოდ შეწირულ საქონლისა მღვდლებს მიეცეთო. იქით-აქედან იკითხეს, რომელ საბლაღოჩინოდან შემოიტანეს ასეთი უცნაური წინადადებაო. მღ. მატიფიევმა სთქვა, დუშეთის საბლაღოჩინოს კრებაზე იყო ამ საგანზე თათბირი, მაგრამ არ ვიცი, მან შეიტანა იგი თუ სხვა ვინმემაო. სიცილი გამოიწვია მატაფიევის განმარტებამ. მღ. ახალშენიშვილმა სთქვა, რა არის აქ სასაცილო ყოველ წლობით თეთრ წმინდა-გიორგიზე ორი ათასი ცხვარიც დაიკვლის და განა ამდენი ტყავი არაფერსა ნიშნავსო. ზოგმა მღვდელმა ისიცა სთქვა, უნდა მივმართოთ სახელმწიფო სათათბიროში ეპისკოპოს ევლოგის მეთაურობით შემდგარ მღვდელთა ჯგუფს და ვთხოვოთ ჯამაგირები ხაზინიდან დაგვინიშნოსო.

ბოლოს კრებამ დაადგინა: 1. აღძრას შუამდგომლობა სახელმწიფო სათათბიროში მღვდელთაგან შემდგარ ჯგუფის წინაშე დააჩქაროს სათათბიროში სამღვდელოებისათვის ჯამაგირების დანიშვნის საკითხის განხილვა; 2. ეთხოვოს მთავრობას, სახაზინო-სათესი ადგილები მისცეს სასულიერო წოდებას; 3. ეთხოვოს მთავრობას, სადაც შესაძლებელია, შეერთებულ იქმნას სამრევლოები და გადარჩენილი ფული განაწილებულ იქმნას სამღვდელოების შორის; 4. დრამა, რომელსაც ახლა ხორბლეულად ვიღებთ, უნდა ფულზე იქმნას გადატანილი და კომლს პურის ნაცვლად თითოეულ კომლისაგან უნდა გვეძლეოდეს 4—6 მანეთამდეო.

ბევრი ლაპარაკი ჰქონდათ დეპუტატებს იმაზე, თუ მედავითნეებს რამდენი უნდა მიეცეთ შემოსავლიდან. მოძრაობის დროს მედავითნეებმა მოიპოვეს უფლება შემოსავლის მესამედ წილის მიღებისა. ეხლა უმრავლესობა იმ აზრისა იყო, რომ მოესპოთ მესამედი და მიეცათ მეოთხედი. ზოგი წინააღმდეგი იყო ამისა.

კრებამ, 24 ხმის უმეტესობით 12-ის წინააღმდეგ დაადგინა, მედავითნეებს მეოთხედი მიეცეთ.

რედაქტორ-გამომცემელი

ე. ბაალიშვილი.


## განცხადებანი

### საოჯახო სასტუმრო
### „Семейные номера“

შუა ქალაქში, ვორონცოვის ძეგლის ახლობლად, ელისაბედის ქუჩაზე, სახლი მილოვისა, № 1. იძლევა ქირით ოთახები თვიურად და დღიურად. თვიურიდან 15 მანეთიდან 50 მანეთამდე და დღიურად 60 კაპ. 2 მანეთამდე. ოთახები მშრალი, თბილი და ნათელია. შეიძლება ოთახების გაქირავება ქამა-სმითაც. სრული მშვიდობა და მყუდროება.

**ყველას ვთხოვ ჩემი მანეთიანი ოთახი შეადაროს სხვის ორ მანეთიან ოთახს.** (20—509—1)

## ჭიათურაში

იყიდება ძრიელ ხელსაყრელ პირობებში „ჯარბელაში“ საუკეთესო „პლატფორმა“ **შავი ქვით.** მოწყობილია აგრეთვე „მარგანეცის“ ჩამოსაყრელი „სპუსკი“.

ადრესი: Тифлисъ, Барятинская № 2, Справочная контора «Трудъ» ანუ ჭიათურაში ხატიძეს. (4—503—1)

აქციონერთა საზოგადოება „გრამოფონი“



ტფილისის განყოფილება

გოლოვინის პროსპექტი, № 9.

გრამოფონი პირველია, როგორც

მოდისა და თან საუკეთესო საჩუქარი,

რისთვისაც მზადა გვაქვს მომავალ

## შობის დღესასწაულისათვის

ჩვენის წარმოების საქონელი და ვთხოვთ პატივცემულ საზოგადოებას მობრძანდნენ საზოგადოების მაღაზიაში: გოლოვინის პროსპექტი, № 9 და დარწმუნდნენ, რომ გვაქვს დიდძალი **ახლად გამოშვებული აპარატები, უკანასკნელ კონსტრუქციისა, მკვიდრის მექანიზმით** სულ ახალ მოდელებისა და ყოველგვარ ასორტიმენტით. **ფასები** გადაჭრილია რუსეთისა, კავკასიისა და კასპიის იქითა მხრისთვის. ვინც სხვა ფირმის ფირფიტებს ყიდულობს, ზარალობს. მრავალ წელთა განმავლობაში შეძენილ რენომეს შესარჩენად ვალდებულად ვრაცხთ ჩვენს თავს არა თუ საუკეთესო საქონელი მივაწოდოთ საზოგადოებას, არამედ, **მოლაპარაკე მანქანის** მოყვარულთა და მეგობართა ინტერესების დასაცველად, უნდა გავაფრთხილოთ კიდეც, რომ ყალბი მანქნები არ შეიძინონ სხვა ფირმებისა, მაგალითად ახალ საზოგადოების მელიდოფონისა. დიდი განსხვავება მელიდოფონის და ჩვენის ფირმის ფირფიტებ შორის ყველასთვის თვალსაჩინოა. სიტყვა „**გ რ ა მ ო ფ ო ნ ი**“ შემკრებელობითი სახელი კი არ არის, არამედ საკუთარი **პატენტიანი** სახელია ჩვენის ფირმის საქონლისა. სიყალბის თავიდან ასაცილებლად ვაქცევთ საზოგადოების ყურადღებას იმას, რომ ჩვენ ნაწარმოებ საქონელს აქვს ჩვენი საფაბრიკო ნიშანი.

TRADE MARK
"GRAMMOPHON"

გრამოფონი ოჯახში არა მარტო გამრთობია, არამედ **აღმზრდელიც**. უნდა ეძებდეთ **ღირსებას** და არა **სიიაფეს**.

მსურველებს შეუძლიანთ მობრძანდნენ მაღაზიაში (გოლოვ., 9) გრამოფონების გამოსაცდელად. კატალოგები და ფირფიტების სია უფასოდ. გვაქვს ფირფიტები სომხურ, ქართულ, სპარსულ-თათრულ და სხვა ენებზე.

საგანგებო ყურადღებას იქცევს განთქმულ მომღერლების ფირფიტებში: **ადელინა პატისა, შალიაპინის, ბორონატის, ცელესტინა ბონინსენისა, ზემბრიხის, არნოლდსონის, კურცის, ფიგნერის, ვიალცევის, კარუზოს, რუფოს, ბატისტინის, შალიაპინის, სობინოვის და სხვათა.** (15—768—6)